



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49212119

თარიღი:30/07/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 50

ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. (საკ.კოდი N29.08.34.014.01.507) ფართის სარგებლობის უფლებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 2 (ორი) წლის ვადით გაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-48211834; 02/07/2021) წერილი, რომელშიც ფიზიკური პირის ლიანა ხაჭაპურიძის განცხადების საფუძველზე ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. (საკ.კოდი N29.08.34.014.01.507) ფართის სარგებლობის უფლებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, საოფისე საქმიანობის განხორციელების მიზნით, 2 (ორი) წლის ვადით გაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. (საკ.კოდი N29.08.34.014.01.507) ფართის სარგებლობის უფლებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 2 (ორი) წლის ვადით გაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

